ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6919826

ნომერი: AR11020570

თარიღი : 28.02.2024

გაცემის თარიღი : 06.03.2024

გაცნობის თარიღი : 06.03.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 67;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 28 თებერვალს №AR11020570 განცხადებით მომართა ზაზა ბასილაძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის №6815952 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის №6815952 ბრძანებით, №01.19.22.002.006 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ავტოსერვისის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 27 დეკემბრიდან 2025 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის №6815952 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, სახურავის გეგმაზე არ არის მითითებული დახრის პროცენტულობა. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეცვლილია სახურავის დახრა. რაც არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას. აღნიშნულისთვის საჭიროა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილება (კორექტირება).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის №6815952 ბრძანებაში სახურავის დახრასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.